

დღესუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

თვითშეფასების ანგარიში

(2012-2013 სასწავლო წელი)

პრეამბულა

ნებისმიერი საგანმანათლებლო ინსტიტუციისთვის უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა. პროგრამის რეალიზაციის აუცილებელი პირობა ასევე საჭირო რესურსების არსებობაა, რადგან ეს პირდაპირ ზემოქმედებს პროგრამის ხარისხზე. ამ თვალსაზრისით დტსუ-ში 2012-2013 სასწავლო წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სხვა საერთაშორისო მონაწილეებთან ერთად (ინგლისი, საბერძნეთი, კვიპროსი, უკრინა, ყაზახეთი) ტემპუსის პროექტში „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ მონაწილეობა. ტემპუსის პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოსთან ერთად, რაც გულისხმობს ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და დანერგვისთვის მეთოდოლოგიური ბაზის და პრაქტიკული ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას, დტსუ-თვის მას კიდევ ერთი ფუნქცია აქვს - ის წარმოადგენს ევროპულ და ტრანსნაციონალურ ქსელებში ჩართვის შესაძლებლობას. ამასთან, ცნობილია რომ ხუ-ში ქსელური სტრუქტურების პოტენციური მნიშვნელობა ძალზე მნიშვნელოვანია (ბერლინის კომუნიკე), რამდენადაც ხელს უწყობს აკადემიური საზოგადოების მიერ ხუ-ის ერთიანი (საერთაშორისო) კონცეფციის გაცნობიერების გამომუშავებას, რაც სულ მცირე გულისხმობს შემდეგს:

- მუშავდება შეთანხმებული საკონტროლო პარამეტრები;
- შეთანხმებულად ფორმირდება პროგრამულ დონეზე ხუ-ის კრიტერიუმები და მეთოდოლოგიები;
- ფორმირდება შედარებადობის ელემენტები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- ფორმირდება ნდობა ხარისხის შეფასების შიდა სისტემების მიმართ (დიდწილად ერთბლივი მუშაობის და ერთიანი გაცნობიერების შედეგი);
- იზრდება პროგრამულ და საუნივერსიტეტო დონეზე ურთიერთდადარების პროცედურების მიმართ ნდობა;
- საინფორმაციო სისტემების შექმნისა და მონაცემთა გაცვლის მიზნით ხდება რესურსების ეფექტური გამოყენება.

აღნიშნული (საერთაშორისო აკადემიური ქსელები/თანამშრომლობა) ასევე კარგი საშუალებაა საერთო საგანმანათლებლო სივრცის ხარისხის კონცეფციის ძირითადი პრინციპების რეალიზაციისთვის (მაგ: რელევანტობა, შედარებადობა/თავსებადობა, გამჭირვალობა, მობილობა, კონკურენტუნარიანობა, ა. შ.). შესაბამისად, ხუ-თვის უმნიშვნელოვანესია დიპლომირებული მედიკოსის არსებული პროგრამის შეფასების

ასპექტების განხილვა მისი (პროგრამის) განვითარების პერსპექტივებზე (მათ შორის ტემპუსის პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები) ფოკუსირებით. ასევე, ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში დტსუ სადოქტორო პროგრამის ანალიზი ანალოგიური დასახელების ევროპული ორგანიზაციის (ORFHEUS) სტანდარტების/მოთხოვნების კონტექსტში.

სამუშაო ჯგუფის წევრები : დტსუ-ის ხუ სამსახურის ხელმძღვანელი თ. თალაკვაძე, ხუ-ის ჯგუფის წევრები: ასოცირებული პროფესორი ნ. ბრეგვაძე, პროფესორი დ. კასრაძე, მე-6 კურსის სტუდენტი ლ. ბოკუჩავა, დოქტორანტი ლ. ნადაშვილი, დოქტორანტი ნ. ზავრაშვილი, კურსდამთავრებული ა. ნადირაძე;

ხარისხის შეფასების ასპექტები:

- დამსაქმებელთა მოთხოვნები;
- სწავლის მოსალოდნელი შედეგები;
- პროგრამის აღწერა (თავისებურებები);
- პროგრამის/კურსკულუმის შინაარსი;
- პროგრამის ორგანიზაცია;
- სწავლების/სწავლის სტრატეგია, დიდაქტიკური კონცეფცია;
- სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- აკადემიური შტატის ხარისხი;
- დამხმარე შტატის ხარისხი;
- სტუდენტთა ხელშეწყობა და კონსულტირება;
- ინფრასტრუქტურა და გარემო;
- სტუდენტთა შეფასება (სტუდენტთა აზრის კვლევა);
- კურიკულუმის დიზაინი და შეფასება;
- შტატის განვითარების აქტივობები;

- კურსდამთავრებულთა მიღწევები.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა

1. დამსაქმებელთა მოთხოვნები

ხუ-ში პროგრამის განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტად დამსაქმებელთა მოთხოვნების/სურვილების გათვალისწინება ითვლება. ითვლება, რომ ეს აუმაღლებს სასწავლო პროცესს და ზრდის შრომის ბაზრის მიმართ მის ადექვატურობას. აღსანიშნავია, რომ უს-ში არსებობს ამ საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერება, მეტიც როგორც ხუ-ის წინა წლების გამოვლევებში ავლნიშნავდით, არსებობს დტსუ-ს სასწავლო პროგრამის, მისი კურსების, საბოლოო შედეგების ფორმალური შესაბამისობა დიპლომირებული მედიკოსის როგორც ეროვნული, ასევე ევროპული დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნებთან. ასევე პროგრამა აკმაყოფილებს აშშ, ინგლისის და სხვა სარეზიდენტურ პროგრამებში ჩარიცხვის მოთხოვნებს. ამის მიუხედავად, ზ/ა ხუ-ის ანგარიშებში მომავლის სამოქმედო გეგმა გულისხმობდა ხუ-ის მიერ სპეციალური კითხვარის შემუშავებას და კვლევების დაწყებას რეზიდენტურის და სამაგისტრო პროგრამების, პროფესიული ასოციაციების, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. ასეთი კითხვარი შემუშავებულია, ჩატარებულია პირველი კვლევები (იხ. დანართი 1), რომელმაც აჩვენა, რომ: 1) უნდა გაგრძელდეს გარკვეული გეგმის მიხედვით ასეთი კვლევები, 2) „მათი აზრი“ შესაძლოა აისახოს პროგრამაში, მხოლოდ დამსაქმებელთა“ დაჯგუფების“, 3) ამ „ჯგუფების“ შემდგომი ანალიზის, პროფესიონალიზმის და ეთიკურ ასპექტებთან ერთად განხილვის კონტექსტში.

ძლიერი მხარეები:

- სასწავლებლის მხრიდან საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერება. სასწავლო
- პროგრამის, მისი საბოლოო შედეგების ფორმალური შესაბამისობის არსებობა ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან.
- დარგობრივსპეციფიური და ზოგადი კომპეტენციების კითხვარის შემუშავება და კვლევების დაწყება.

სუსტი მხარეები:

- დამსაქმებელთა დიფერენციულ (გარკვეული წესით დაჯგუფებულ) ჯგუფებში სპეციალური კვლევების არ არსებობა.

სამოქმედო გეგმა:

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებელთა ანალიზი, მათთან ერთად შემუშავებული კითხვარის დაზუსტება/განხილვა.
- ახალი კვლევების (დაზუსტებული კითხვარი, დამსაქმებელთა სახეობები) დაგეგმვა და განხორციელება.
- დამსაქმებელთა დაინტერესებულ ჯგუფებთან დტსუ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განვითარების განხილვა ტემპუსის პროექტის ფარგლებში.
- დტსუ პროგრამების საერთაშორისო ცნობადობის და დიპლომის აღიარების (მეტ ქვეყანაში) მიზნით საერთაშორისო ქსელებში (მაგ: EURAS, AMSE, ORFHEUS, ა. შ.) მონაწილეობა მათ შორის ამ (დასაქმების ბაზარი) მიმართულებით (იხ. დანართი 2).

2. swavlis mosalodneli Sedegebi

დტსუ-ში არსებობს პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების ეტაპობრივი მიღწევისათვის მათი პროგრამული ასახვის/იმპლემენტაციის და განხორციელებისათვის შემუშავებული სტრატეგია და პროცესი მიმდინარეობდა. ამჟამად ეს პროცესი ფორმალურად დასრულებულია: პროგრამის საბოლოო შედეგების ეტაპობრივი მიღწევის შესალებლობა ნაჩვენებია სასწავლო კურსების სილაბუსებში, მათ შორის ზოგადტრანსფერული კომპეტენციებისაც, რომლის დიდი ნაწილი სამედიცინო პროფესიონალიზმის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტებია. შემუშავებულია ამ კომპეტენციათა მიღწევის და ეტაპობრივი შეფასების კრიტერიუმები (დანართი 3). ასევე შემუშავებულია კლინიკური უნარჩვევების შეფასებების სპეციალური ფორმები და პორტფოლიოს სქემა (დანართი 4).

Zlieri mxaregbi:

- სწავლის მოსალოდნელი შედეგები, კომპეტენციები პროგრამულად ასახულია. იმპლემენტაციის განხორციელების პროცესი ფორმალურად დასრულებულია.
- პროგრამის საბოლოო შედეგების ეტაპობრივი მიღწევის შესაძლებლობა ნაჩვენებია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- ზოგადტრანსფერული კომპეტენციების შეფასებისთვის არსებობს ეტაპობრივი შეფასების კრიტერიუმები.
- არსებობს კლინიკური უნარჩვევების შესაფასებელი სპეციალური ფორმები და პორტფოლიოს სქემა.

სუსტი მხარეები:

- დტსუ-ს აკადემიური შტატის და სტუდენტების ინფორმირებულობის ნაკლებობა სწავლის შედეგების მნიშვნელობის შესახებ (კლინიკური და პროფესიული უნარჩვევები).
- ფორმალური იმპლემენტაციის (პროგრამულ დონეზე, სილაბუსებში სათანადოდაა ასახული) რეალურ სასწავლო პროცესში ასახვის ნაკლებობა.

სამოქმედო გეგმა:

- სასწავლო კურსების სწავლის ეტაპობრივი და საბოლოო შედეგების ირგვლივ ორგანიზაციის გაზრდა.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური შტატისა და სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება (შეხვედრები, განხილვები, ვებ-გვერდზე გარკვეული მასალების განთავსება).
- კლინიკური უნარჩვევების შეფასების მეთოდოლოგიათა ანალიზის ჯგუფის შექმნა.

3. პროგრამის აღწერა (თავისებურებები)

დტსუ-ში არსებული დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა სასწავლო კურსის შინაარსი სათანადოდაა აღწერილი სილაბუსებში; მათი

თანამიმდევრობა, ორგანიზება, სწავლის შედეგები ა. შ. სათანადოდ აღწერილია პროგრამაში (იხ. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა).

თითოეულ სასწავლო კურსში ზოგადტრანსფერული და დარგობრივი ცოდნა/უნარების მეშვეობით ნაჩვენებია რისი მიღწევაა შესაძლებელი კურსის გავლის შემდეგ, აღწერილია კომპეტენციების შინაარსის ადექვატური სწავლებისა და სწავლის მეთოდები, თუმცა კვლევა/შესწავლა, თუ რა დონეზეა აღნიშნული კომპეტენციების მიღწევა შესაძლებელი, გრძელდება. ეს უკანასკნელი ე. წ. „სრული პროგრამული თარგმანის“ (იხ. თვითშეფასების ანგარიში, 2011წ) მნიშვნელოვან კომპონენტად გვესახება. სასწავლო პროგრამის სტრუქტურული ორგანიზაციის შესაბამისად დისციპლინის სილაბუსში სათანადოდაა განმარტებული მისი რომელი ნაწილი რა მოდულის შექმნაში, რა მოცულობით, რომელ სემესტრში მონაწილეობს.

Zlieri mxareebi:

- სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები აღწერილია ზოგად/ტრანსფერული და დარგობრივი, ცოდნა/გაცნობიერებისა და უნარ-ჩვევების კომპეტენციებით.
- სილაბუსებში არსებული ტექნიკური და სხვ. ხარვეზები გამოსწორებულია.
- სილაბუსში სათანადოდაა აღწერილი დისციპლინის რა სასწავლო ნაწილები, რა კრედიტით და რომელ სასწავლო მოდულებშია გაერთიანებული.

სუსტი მხარეები:

- თითოეული სასწავლო კურსის შესაძლებლობათა სიღრმისეული (მაგ: კლინიკური უნარჩვევების ასათვისებლად ბაზის შესაძლებლობათა ანალიზით) ანალიზის არ არსებობა, რაც გულისხმობს რომელი კომპეტენციების რა დონეზე მიღწევაა შესაძლებელი კონკრეტული კურსის გავლის შემდეგ;
- კლინიკური კომპეტენციების სპეციფიკის ადექვატური შეფასების მეთოდების დიფერენცირებული შერჩევის არ არსებობა და სრული პროგრამული იმპლემენტაციის ნაკლებობა;

სამოქმედო გეგმა:

- სამედიცინო განათლების ცენტრის, კურუკულიმის და შეფასების კომიტეტის წევრების და ასევე სასწავლო კურსის ხელმძღვანელების ერთობლივი

თანამშრომლობით პროგრამის გავლის შედეგად მისაღწევი საბოლოო კომპეტენციების სრული “პროგრამული თარგმანის“ უზრუნველყოფა.

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის საბაზისო სამედიცინო განათლების ეტაპის განვითარება ტემპუსის მიმდინარე პროექტის ფარგლებში.

4. 5. პროგრამის/კურსკულუმის შინაარსი და პროგრამის ორგანიზაცია

პროგრამის შინაარსი აკმაყოფილებს დიპლომირებული მედიკოსის საჭირო თანამედროვე დონეს. აღნიშნული შინაარსი პროგრამის შედეგებზე ორიენტაციით მეტნაკლებად დაბალანსებულია. პროგრამაში არსებობს სამეცნიერო კვლევის სასწავლო კურსი და მისი რეალიზაცია დაწყებულია. მეტიც, ამ მხრივ (სამეცნიერო კვლევითი უნარები) სტუდენტთა მოტივაციის გასაზრდელად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, შემოღებულია ერთგვარი „სამეცნიერო ორიენტაციის დღე“ – „ნობელის დღე“ (იხ. დტსუ ვებგვერდი). სტუდენტთა სამეცნიერო წრის თაოსნობით მზადდება სამეცნიერო კონფერენცია (დაგეგმილია 7-8 ივნისი, იხ. დტსუ ვებგვერდი).

სამედიცინო დარგში აღნიშნული შინაარსის პროგრამულ ორგანიზებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება თანამედროვე სამედიცინო განათლებაში. პროგრამის შინაარსის/ორგანიზების ინტეგრაციის სწავლების/სწავლის სტრატეგიის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა, მათ შორის ტემპუსის პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ ფარგლებში. ახლად დაარსებული სამეცნიერო ცენტრის მიერ, აგრეთვე ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ჯგუფის ორგანიზებით მიმდინარეობს კურიკულუმის (ძირითადად მისი საბაზისო სწავლების ეტაპის) ტრანსფორმაცია. შედგენილია ამგვარი ტრანსფორმაციის გეგმა. მიმდინარეობს კონსულტაციები სასწავლო ბლოკების ხელმძღვანელებთან. თითოეულ ასეთ ბლოკს ეყოლება ხელმძღვანელები საბაზისო და კლინიკური დარგების პედაგოგებიდან, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან სასწავლო ბლოკისთვის განკუთვნილ შინაარსსა და კონტექსტზე ცოდნის, უნარების და ჩვევების ჩათვლით იხ. დანართი 5).

Zlieri mxarego:

- ტემპუსის პროექტის ფარგლებში პროგრამის შინაარსის/ორგანიზების, მთლიანად პროგრამის (მისი საბაზისო სწავლების ეტაპი) ტრანსფორმაციის პროცესის დაწყება.
- სამეცნიერო კვლევის სწავლების მიმართულებით პროგრამის განვითარების დაწყება.

სუსტი მხარეები:

- ელექტივების შერჩევა პროგრამის სწავლების შედეგებზე ნაკლები ორიენტაციით;
- არ ჩატარებულა სტუდენტთა მოსაზრებების შესწავლა სამეცნიერო კვლევის სილაბუსებთან მიმართებაში.
- კურსის შინაარსთან ერთად ინტეგრაციის სტრუქტურირების ნაკლებობა სწავლის შედეგების ირგვლივ.
- კონტექსტის მიხედვით სწავლებაზე დაფუძნებული ინტეგრაციის უკეთ დაგეგმვის აუცილებლობა;

სამოქმედო გეგმა:

- სამეცნიერო კვლევის სასწავლო კურსის ფარგლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ სტუდენტთა აზრის შესასწავლად სპეციალური კითხვარის შემუშავება, გამოკითხვა და ანალიზი.
- სამედიცინო განათლების ცენტრის მიერ და ტემპუსის პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოთა (რაც მნიშვნელოვნად ზ/ა სუსტი მხარეების დაძლევის საუკეთესო საშუალება იქნება) ეფექტური განხორციელება.

6. სწავლების/სწავლის სტრატეგია, დიდაქტიკური კონცეფცია

დტსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების/სწავლის სტრატეგიაში გათვალისწინებულია სამედიცინო დარგისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი--კლინიკურ გარემოში სწავლება. აგრეთვე, აღნიშნული კლინიკური გარემოს მრავალფეროვნება (მწვავე პაციენტი გადაუდებელი მკურნალობის განყოფილებაში, ქირურგიული პაციენტი, ბავშვები, ფსიქიატრიული, გინეკოლოგიური

და სხვა). სტუდენტთა სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობის ხელშეწყობა; ზემო აღნიშნული დარგობრივი დოკუმენტის მნიშვნელოვანი მოთხოვნებია.

სილაბუსებში დეტალურად გაწერილია ის დავალებები, რასაც სტუდენტი ასრულებს (დამატებითი ლიტერატურის მოძიება, პროფესიული ჩვევების ტრენინგი და სხვ.); სტუდენტის კლინიკური და სხვა სახის პრაქტიკის შეფასების მეთოდები და ფორმები მეტნაკლებად ასახულია სილაბუსში და პროგრამის შეფასების სისტემაში; მათი (პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების) იმპლემენტაციის და სტუდენტის საბოლოო შეფასებაში ასახვის მიმართულებით მუშაობა გრელდება;

კლინიკური უნარ/ჩვევების (სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით) სასწავლო კურსი არსებობს; სხვადასხვა სასწავლო კურსების შესახებ სტუდენტთა აზრის გამოკითხვა გრძელდება. სწავლება მიმდინარეობს დტსუ შესაბამის კლინიკურ ბაზებზე. უნივერსიტეტმა იზრუნა კლინიკური ბაზების გაფართოებაზე. კერძოდ დააფუძვნა „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისში“, რომელსაც იყენებს სტუდენტთა და მომავალში აგრეთვე გამოიყენებს რეზიდენტთა და დოქტორანტთა მომზადებაში.

სწავლების პროცესში გამოყენებულია შემდეგი ფორმები: ინტერაქტიული ლექციები და სემინარები; კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching); პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება; ლაბორატორიული სწავლება; პრეზენტაციები; სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა. შესაბამისად პროგრამის ამ ასპექტში ძლიერი მხარეებია:

ძლიერი მხარეები:

- სამედიცინო დარგისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი -- კლინიკურ გარემოში სწავლება.
- აღნიშნული კლინიკური გარემოს მრავალფეროვნება (მწვავე პაციენტი გადაუდებელი მკურნალობის განყოფილებაში, ქირურგიული პაციენტი, ბავშვები, ფსიქიატრიული, გინეკოლოგიური და სხვა).
- სტუდენტთა სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ახალ კლინიკურ და სამეცნიერო ბაზებზე ზრუნვა.

სუსტი მხარეები:

- სტუდენტის კლინიკური, ასევე პროფესიული უნარჩვევების შეფასების მეთოდების მრავალფეროვნების ნაკლებობა.

- სტუდენტის კლინიკური, ასევე პროფესიული უნარჩვევების შეფასების იმპლემენტაციის ნაკლებობა და ასევე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში (დიპლომის დანართში) მათი ასახვის არ არსებობა.

სამოქმედო გეგმა:

- ხუ-ის სამსახურისა და სამედიცინო განათლების დეპარტამენტის მიერ სემინარების ჩატარება დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში პროფესიონალიზმის სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ.
- კლინიკური და პროფესიული უნარჩვევების შეფასების იმპლემენტაციაზე შემდგომი ზრუნვა.
- სტუდენტის ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში კლინიკური და პროფესიული უნარჩვევების ასახვაზე მუშაობის გაგრძელება.
- ტემპუსის პროექტის ფარგლებში სწავლების/სწავლის ახალი სტრატეგიების (ePBL, VP-ზე დაფუძნებით) შემუშავებაზე ზრუნვა.

7. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასების სისტემამ გარკვეული ცვლილებები განიცადა დტსუ-ში ხუ-ის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის (2011 წ) მიხედვით შეფასების ნაწილში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებები ასევე განხილული იყო სტუდენტებთან და პედაგოგებთან. 2012-2013 სასწავლო წლის განმავლობაში მეტი მუშაობა ტარდება სტუდენტებთან შეფასების სისტემის შესახებ ინფორმატიულობის გასაზრდელად (იხ. ხუ თვითშეფასების წინა ანგარიში. შენიშვნა 6). კლინიკური უნარჩვევების შეფასების სისტემის შექმნის მიმართულებით მუშაობა გრძელდება (აღნიშნული შესწორებებით და ხუ-ის წინა ანგარიშის მიხედვით).

ძლიერი მხარეები:

1. შეფასების კომბინირებული სისტემის (მიმდინარე და შემაჯამებელი) არსებობა;
2. გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდები.
3. შეფასების არსებული სისტემა იძლევა იმის რწმენას, რომ პირი აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციებს.
4. შეფასებები და გამოცდები კურსის შინაარსსა და პროგრამას სრული მოცულობით ფარავს;

5. ყველა სასწავლო თემის/სასწავლო კომპონენტის როგორც მიმდინარე, ასე შესასწავლი სისტემის შესაბამისი განვლილი კურსის შემაჯამებელი შეფასების შესაძლებლობის არსებობა (ზეპირი და წერილობითი ფორმით).
6. სწავლების ეტაპების შესაბამისი შეფასება: სტუდენტთა გამოვლენა ვისაც შეუძლია (მიღწეული დონის მიხედვით) სწავლების შემდგომ ეტაპზე გადასვლა ან ვინც პროგრამის განმეორებას საჭიროებს;
7. სტუდენტის შეფასებაში ჩართულია მასწავლებელი, პროგრამ-დირექტორი, საგამოცდო ცენტრი, გარეშე ექსპერტი (მე-6კ. შემაჯამებელი გამოცდა);
8. შეფასებები და გამოცდები მთლიანობაში პროგრამის მიზნებს/ამოცანებს ფარავს;
9. შეფასების წესები, პროცედურები ნათელია, ცნობილია, ობიექტურობა გარანტირებულია;
10. არის განმეორებითი შეფასების წესები;
11. არსებობს ნიშნის მინიჭების ნათელი და გამოქვეყნებული კრიტერიუმები.

სუსტი მხარეები:

1. შემაჯამებელი გამოცდა საბაზისო დისციპლინებში (V სემესტრი ბოლო) გარკვეულწილად შეიძლება განიტვირთოს (საგანთა დიდი ჩამონათვალი შედის) იმ საგნებიდან, რომელიც „ერთსემესტრიანია“ (არ ისწავლება 2,5 წლის განმავლობაში).
2. კლინიკურ დისციპლინებში ცოდნის შეფასების ნაწილი სასწავლო მოდულებზე უკეთ მორგებას და დიპლომის დანართში შესაბამის ასახვას საჭიროებს.
3. კლინიკურ უნარ-ჩვევებში შეფასების ადექვატური სისტემის ნაკლებობა; კლინიკურ უნარ/ჩვევებში დახელოვნების შეფასება დამატებითი კომპონენტების /კრიტერიუმების შემუშავება/დანერგვას საჭიროებს.
4. სტუდენტები ძირითადად ინფორმირებული არიან შეფასების სტრატეგიის შესახებ, თუმცა კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ამ მხრივ მეტი მუშაობაა საჭირო.

სამოქმედო გეგმა:

- 1) დაიგეგმოს და გაგრძელდეს გამოცდების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვა;
- 2) ხუ სამსახურმა გააგრძელოს სამედიცინო დიპლომამდელი განათლების ეტაპის სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ საინფორმაციო სემინარები (ხუ სამსახურში ჩართული და სხვა დაინტერესებული სტუდენტების და დოქტორანტების მონაწილეობით).

- 3) მიეცეს რეკომენდაცია სასწავლო დეპარტამენტს, გააუმჯობესოს საგნის პროფესორებთან არსებული კომუნიკაცია, რეგულარული გახადოს საგამოცდო ტესტების რევიზირების პროცედურა (ჩატარებული მუშაობის შედეგები პერიოდულად მოხსენდეს kurukulumisა და Sefasebis კომიტეტს.
- 4) გაგრძელდეს დტსუ-ში არსებული შეფასების სისტემის შემდგომ ობიექტივიზაციაზე მონიტორინგი.

8. აკადემიური შტატის ხარისხი

ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციის აუცილებელი პირობა საჭირო რესურსების არსებობაა; რესურსების ხარისხი პირდაპირ ზემოქმედებს პროგრამის ხარისხზე. აღნიშნულ რესურსებში მოიაზრება მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული კადრები. რესურსების მეორე მნიშვნელოვანი სახეობაა ის პირობები, რომელშიც მიმდინარეობს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა, და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რესურსების ორივე სახეობა მკაცრ აღრიცხვას და მუდმივ სრულყოფას საჭიროებენ. საკადრო საკითხებთან მიმართებაში ეს (მუდმივი სრულყოფა) ნიშნავს, რომ სასწავლო დაწესებულებას (მის აკადემიურ შტატს) უნდა ჰქონდეს სწავლისა და სწავლების ახალი/თანამედროვე მიდგომების შესაძლებლობა. რაც შეეხება ე. წ. „მკაცრ აღრიცხვას“: ხუ-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული გულისხმობს საბაზისო სტანდარტის დაკმაყოფილებას ანუ „გარანტიას“, რომ კადრი შერჩეულია „სწორად“, ანუ მინიმუმ, მისი როგორც პროფესიონალის (შესაბამისი დარგის სპეციალისტი კვლევისა და სწავლების შესაბამისი უნარებით) დონე შეესაბამება როგორც ეროვნულ ასე უს-ის მოთხოვნებს არჩვნების და/ან გადარჩევების დროს (ამ უკანასკნელს, ახალი კადრების „სწორად“ შერჩევას მუდმივად მეთვალყურეობს ხუ სამსახური). აკადემიურ ხარისხზე ზრუნვა ახალი (მათ შორის ახალგაზრდა) კადრების მოზიდვის და მომავალი განვითარების თვალსაზრისით დტსუ-მ 5 მიმართულებით (15 სუბსპეციალობა) კონკურსი გამოაცხადა (იხ. ბრძანება 2, 18.05.2013) მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ასისტენტ პროფესორის (7) ან ასოც. პროფესორის (10) პოზიციაა (შენიშვნა: აკადემიური შტატის რაოდენობა, მათი ფარდობა სტუდენტთა რიცხვთან სრულიად საკმარისი იყო კონკურსის გამოცხადებამდე).

ზ/ა მნიშვნელოვან თემასთან „დაწესებულებას (მის აკადემიურ შტატს) უნდა ჰქონდეს სწავლისა და სწავლების ახალი/თანამედროვე მიდგომების შესაძლებლობა“: ტემპუსის პროექტის ფარგლებში და პარტნიორთა ხელშეწყობით, ასევე დტსუ-ს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე (იკითხება აღნიშნული გეგმის თითქმის ყველა

მიზანში, ასევე მიზნის განხორციელების სტრატეგიებსა და 5-წლიან სამიზნეებში) დტსუ-მ დააფუძვნა სამედიცინო განათლების ცენტრი (სგც), რაც ხელს შეუწყობს არსებულ და ახალ კადრებს სწავლისა და სწავლების ამგვარი ახალი მიდგომების, ტექნოლოგიების გაცნობის შესაძლებლობას.

ძლიერი მხარეები:

- პროგრამა მთლიანად, მისი სასწავლო კურსები/მიმართულებები სრულად დაკომპლექტებულია აკადემიური შტატით;
- არჩეული აკადემიური შტატის რაოდენობა, კვალიფიცია და კომპეტენციები აკმაყოფილებს უს-ის და ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- სტუდენტთა გამოკითხვით პედაგოგთა შეფასება დადებითია;
- აკადემიური კადრების ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის რეალიზაციის დაწყება.

სამოქმედო გეგმა

- აკადემიური კადრების ხარისხის გაუმჯობესებების ღონისძიებებზე მუშაობის გაგრძელება, მათ შორის დტსუ სამედიცინო განათლების ცენტრის ხელშეწყობით.
- ვაკანსიების საუკეთესო კადრებით დაკომპლექტება;
- სტუდენტთა მიერ პედაგოგის შეფასების „დადებითის“ „სანიმუშო პედაგოგები“ გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

9.დამხმარე შტატის ხარისხი

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში გარკვეული შევსება მოხდა დამხმარე შტატის კადრებით დაკომპლექტებაში: დეკანატი 2 საშტატო ერთეულით (დეკანის მოადგილე, ადმინისტრაციულ დარგში დეკანის თანაშემწე), აგრეთვე საფინანსო განყოფილება

შეივსო ახალი კადრით, სხვა საჭირო ტექნიკური კადრებით. უნივერსიტეტმა ასევე იზრუნა საბიბლიოთეკო ფონდის შევსებაზე (იხ. დანართი 6).

ძლიერი მხარეები:

- ადმინისტრაციული ერთეულების და სტრუქტურების მათი შესაბამისი სამსახურების დებულებათა და შრომითი შინაგანაწესის ფარგლებში სათანადო მუშაობა.
- ადმინისტრაციის მიერ აღებული ვალდებულება დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის (ასევე აკადემიური შტატის) წახალისების.
- დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა (ტრენინგების დაფინანსება).

სუსტი მხარეები:

- ადმინისტრაციული, სამეურნეო პერსონალისთვის „შრომითი წარმატებისათვის“ წახალისების გამოყენების ნაკლებობა.

სამოქმედო გეგმა:

- უს-ის სამსახურის მიერ სათანადო კითხვარის შემუშავება და სტუდენტთა და აკად. პერსონალის აზრის შესწავლა ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობაზე.

10. სტუდენტთა ხელშეწყობა და კონსულტირება

სტუდენტთა პრობლემებზე უკეთ ფოკუსირებისათვის, ასევე სასწავლებელში მიმდინარე ცვლილებებში მათი აზრის გათვალისწინებისა და მათი ინფორმირებულების გაზრდის მიზნით ისინი (სტუდენტური თვითმმართველობის

წამომადგენლები) ჩართულნი არიან რექტორის საბჭოს, ასევე ხუ-ის სამსახურის მუშაობაში. მიმდინარეობს სტუდენტთა დახმარების არსებული სერვისის რევიზირება.

სამოქმედო გეგმა:

- თანადგომის არსებული ინსტიტუტების გაძლიერება სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ორიენტაციით.

11. ინფრასტრუქტურა და გარემო

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში უს-მა იზრუნა ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გარკვეულ გაუმჯობესებაზე: გაარემონტა რიგი სასწავლო და ადმინისტრაციული დანიშნულების ოთახები, სალექციო აუდიტორიები; შეავსო კომპიუტერული, ქსელური და სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი. ასევე არსებობს საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკების ბაზებთან წვდომა, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება სტუდენტებს განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევისათვის ღირებული ინფორმაციის მოძიებაში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ უს-მა იზრუნა სასწავლო/კვლევითი გარემოს გაფართოებაზე: რიგ წამყვან სამეცნიერო-კვლევით და სამკურნალო დაწესებულებებთან გაფორმებული მემურანდუმის მეშვეობით სტუდენტებს ექმნებათ სწავლისა და კვლევითი საქმიანობისათვის უფრო ფართე და გაუმჯობესებული გარემო. (იხ. დანართი 7).

სამედიცინო განათლების ცენტრისთვის გამოყო და გაარემონტა ფართი, ასევე დაუკვეთა საჭირო ინვენტარი. ცენტრის კომპიუტერული საშუალებებით უზრუნველყოფა მოხდება ევროკომისიის მიერ ტემპუსის პროექტის განხორციელების ფარგლებში.

ძლიერი მხარეები:

- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები, ადჟურვილობის, მასალების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით, საკმარისია.

- უს-ის კომპიუტერული ბაზის, ინტერ- და ინტრანეტის მეშვეობით უზრუნველყოფილია კომპიუტერული და ქსელური ინფრასტრუქტურა, რომელიც სწავლებისთვის, კვლევებისთვის, სერვისისა და ადმინისტრირებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სრული ექსპლუატაციის შესაძლებლობას იძლევა.
- ახალი პროგრამის შემუშავებისა და სამედიცინო განათლების ცენტრის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისათვის მიმდინარე სამუშაოები.
- განახლებულია/გარემონტებულია რიგი სასწავლო ოთახებისა.
- სტუდენტებს (გაფორმებული ახალი მემორანდუმები ფარგლებში) აქვთ კვლევითი აქტიურობისათვის გაუმჯობესებული სამეცნიერო და სასწავლო გარემო.

მოქმედების გეგმა:

- შესაბამისი ფონდების (კერძო დაფინანსება, შემოწირულობა, გრანტი) მოძიება 21-ე საუკუნისათვის შესაბამისი თანამედროვე საუნივერსიტეტო გარემოს შესაქმნელად დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი განათლების უზრუნველსაყოფად და კვლევისათვის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.

12. სტუდენტთა შეფასება (სტუდენტთა აზრის კვლევა)

ხუ-ის სამსახური წლებია (2003-2004 სასწავლო წლიდან) საგანმანათლებლო გარემოს შესასწავლად იკვლევს სტუდენტთა აზრს სპეციალურად ამ მიზნით (მედიკოსი სტუდენტი) შემუშავებული კითხვარით [(Dundee Ready Education Enviroment Measure (DREEM)] და სწავლობს სტუდენტთა აზრს: 1) სასწავლო პროცესებზე (SPL); 2) პედაგოგთა კომპეტენტურობაზე (SPT); 3) საკუთარ აკადემიურ სტატუსზე (SAP); 4) საგანმანათლებლო ატმოსფეროზე (SPA); 5) საკუთარ სოციალურ მდგომარეობაზე (SSP);

წინა წლების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ 1) იგი კარგი საშუალებაა სასწავლებელში არსებული რეალური საგანმანათლებლო გარემოს შესახებ სტუდენტთა აზრის გასაგებად, და 2) იგი შეიძლება იყოს გამოყენებული სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად.

2012-2013 სასწავლო წლებში კვლავ პრობლემურ არეებად რჩება ისეთი საკითხები როგორც 1) დტსუ სტუდენტები სტრესირებულები არიან; 2) შეუფერებლად მცირე დრო

ეთმოზა საკმაოდ დიდ მასალას; 3) და ზოგიერთი სხვა, რომლებზეც განსაკუთრებული ფოკუსირებაა საჭირო.

ხუ-ამ სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების სწავლების ეფექტურობის და პედაგოგთა შეფასების სპეციალური კითხვარით (იხ. დანართი 8. ხუ ოქმი 4) ჩაატარა უცხოელ სტუდენტთა აზრის გამოკითხვა რიგ საკითხებთან მიმართებაში. გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ განსაკუთრებით პრობლემური არცერთი საკითხი არ ყოფილა, ამასთან სტუდენტური კვლევების შედეგების შეფასებაში გამოთქმული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება მომავალი კვლევებისათვის (იხ. დანართი 9).

ძლიერი მხარეები:

- სტუდენტთა გამოკითხვის რეგულარულად ჩატრება.
- სტუდენტთა შეფასებით მიღებული შედეგების შემღებისდაგვარად გამოყენება ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სუსტი მხარეები:

- სტუდენტთა შეფასების შედეგებთან დაკავშირებით ჩატარებული არასაკმარისი ღონისძიებები.
- სტუდენტთა შეფასების შედეგებთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ მათი ინფორმირებულობის ნაკლებობა.
- ახალი კითხვარები ძიება და მათი ტესტირების მექანიზმის შემუშავება სტუდენტთა აზრის შეფასების მეტი ობიექტივიზაციისთვის.

სამოქმედო გეგმა:

- სტუდენტთა გამოკითხვის რეგულარულად ჩატარების გაგრძელება;
- შეფასების შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაზე ზრუნვა.
- ყურადღების მუდმივი ფოკუსირება სტუდენტთა პრობლემებზე, მათი დაძლევის ღონისძიებათა გეგმის შემუშავება/განხორციელებაზე ზრუნვა.

- ახალი სამეცნიერო სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე კითხვარების მოძიება/ჩატარება.

13. კურიკულუმის დიზაინი და შეფასება

სწავლების ხარისხზე ზრუნვა (იხ. დტსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა) სამედიცინო განათლების კონტექსტში (შესაძლოა განათლების ყველა სხვა სფეროშიც) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტეგრირების ხარისხის ზრდაა, ანუ უმაღლესი სკოლის მთავარ საკითხთან ერთად „რა ვასწავლოთ“, უმნიშვნელოვანესია „როგორ ვასწავლოთ“.

წინა სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის კომიტეტმა დაწვრილებით აღწერა დტსუ-ში არსებული დიპლომამდელი მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა, ჩაატარა მისი ანალიზი სამედიცინო განათლებაში თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად მისი განვითარების შესაძლებლობით. ამ პროცესში ჩართული იყო ხუ სამსახურიც. ჩვენი ქვეყნისთვის პრობლემურად რჩება დამსაქმებელთა ჩართვა კურიკულუმის დიზაინის განსაზღვრაში, ასევე შესაძლო ცვლილებების იმპლემენტაციის რიგ საკითხებში მათი მონაწილეობა. დტსუ-მ დაიწყო ამ მიმართლებით მუშაობა (იხ. თვითშეფასების „თავი 1, დამსაქმებლის მოთხოვნები“), თუმცა თანმიმდევრული კვლევების და ანალიზის გაგრძელება აუცილებელია. მიმდინარე სასწავლო წელს დტსუ-ში სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, ასევე ტემპუსის პროექტის ფარგლებში და პარტნიორთა ხელშეწყობით დაფუძნდა სამედიცინო განათლების ცენტრი, რომელიც სხვა საკითხებთან (პროგრამის ახალი დიზაინი, შეფასების სიტემა, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, პროგრამის ინტეგრირების ზრდა, ა. შ.) ერთად იზრუნებს აღნიშნულ პროცესებში დამსაქმებელთა ჩართვასა და მათი აზრის გათვალისწინებაზე.

სამოქმედო გეგმა:

- დიპლომამდელი სამედიცინო განათლების პროგრამის დიზაინის შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართვა და/ან როგორც მინიმუმ არსებული კვლევის კორექტული ანალიზი.

14. Statis ganviTarebis aqtivobebi

დტსუ-ში არსებული აკადემიური შტატი აკმაყოფილებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არსებულ მოთხოვნებს. შესაბამისად ჩვენ არ ვსაუბრობთ “კომპეტენტურობის მინიმალურად აუცილებელ დონეზე”. თუმცა სწავლების უნარები განვითარებას საჭიროებს. საკადრო საკითხებთან მიმართებაში განვითარება ნიშნავს, რომ სასწავლო დაწესებულობს უნდა ჰქონდეს სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების შეთავაზების შესაძლებლობა. აღნიშნულის სრულად გაცნობიერებით დტსუ-მ დააფუძვნა სამედიცინო განათლების ცენტრი, რომლის მიზნებსა და ფუნქციებში ერთერთი უმთავრესი სწორედ ზ/ა-ის რეალიზაციაა.

სამოქმედო გეგმა:

- ახლად დაფუძნებული სგც-ის მუდმივი ხელშეწყობა, მათი მიზნების ეფექტური რეალიზაციისთვის.
- სამედიცინო განათლებაში და პედაგოგიური უნარების სრულყოფაში ხარისხიანი ტრენინგ პროგრამების მომზადების ხელშეწყობა.

15.kursdamTavrebulTa miRwevebi

ამ საკითხში ხარისხის შეფასებისთვის ყველაზე უკეთესი კრიტერიუმი კურსდამთავრებულთა პროფილური დასაქმების (ჩვეულებრივი იღებენ ~3 წლის განმავლობაში) მაჩვენებელია. დიპლომირებულ მედიკოსთა უმრავლესობისთვის (იმათთვის ვინც კლინიცისტობა არჩია) შემდეგი ეტაპი სარეზიდენტურ პროგრამებია; სხვები ჩვეულებრივ აბარებენ სამაგისტრო, დოქტორანტურის პროგრამებში. ეს ერთერთი ყველაზე ძნელად შესაგროვებელი ინფორმაციაა. ამასთან, დტსუ კურსდამთავრებულთა იმ ნაწილზე ვინც ჩააბარა აშშ-ს სარეზიდენტურ პროგრამებისთვის (USML--ის სექტეპები/გამოცდები), Caabara da daamTavra rezidentura aSS-Si an inglisSi (e.w. PLAB-testi) ან ევროპის ქვეყნებში გააგრძელა სწავლა სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამაზე (ასეთია დტსუ კურსდამთავრებულთა ~ 25%) უს-ს აქვს სრული ინფორმაცია, რადგან უს-ს აღნიშნული ქვეყნების მარეგულირებელი ორგანიზაციები აწვდიან ინფორმაციას გარკვეული საკითხების/დოკუმენტების დადასტურებისათვის. ანალოგიური ინფორმაცია საქართველოში რეზიდენტურის პროგრამაში ჩართულობაზე უფრო ემპირიულია და არა სისტემატიზირებული. ალბათ,

უნდა არსებობდეს საქართველოში რეზიდენტთა, აგრეთვე დასაქმებულ ექიმთა რაღაც რეესტრი მაინც, საიდანაც ინფორმაციის მიღება ყველა უს-თვის სასარგებლო იქნებოდა. ყველა შემთხვევაში ამ ინფორმაციის შესავსებათ უს-მა უნდა შეიმუშავოს გარკვეული გეგმა (მაგ: კურსდამთავრებულთა კლუბების შექმნის ინიცირება და მათთან ამ საკითხებზე კომუნიკაცია ამერიკაში, ევროპაში, საქართველოში).

ძლიერი მხარეები:

- საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე უაღრესად კონკურენტულ გარემოში დღეს კურსდამთავრებულთა სარეზიდენტო პროგრამებში/სხვა პროგრამებში/დასაქმების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი.

სუსტი მხარეები:

- კურსდამთავრებულთა მიღწევების აღრიცხვის/მონიტორინგის ეფექტური სისტემის ნაკლებობა.

სამოქმედო გეგმა:

- კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაზრდის მიზნით შესაბამისი ორგანიზაციების დაფუძვნების ხელშეწყობა.
- კურსდამთავრებულთა ინტელექტუალური რესურსის სასწავლო პროცესში „გამოყენების“ შესაძლებლობათა განვითარება.

ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამა

დტსუ-ში 2009 წლიდან ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში მიმდინარეობს სადოქტორო სწავლების პროგრამა. დტსუ ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ევროპული სისტემის ორგანიზაციის (ORPHEUS) წევრია. აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2012 წელს ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციასა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან ერთად შეიმუშავა სტანდარტები სადოქტორო სწავლებისათვის. აღნიშნული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დტსუ წარმომადგენელმაც. შესაბამისად, დტსუ-ს სადოქტორო პროგრამის ხუ-ის ორიენტირი აღნიშნული დოკუმენტია, რაც ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია დტსუ სადოქტორო სასწავლო პროგრამის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის. სადოქტორო სწავლების ხარისხზე ეფექტური მონიტორინგის მიზნით შექმნილია სადოქტორო კომიტეტი. ხუ სამსახურმა აღნიშნულ კომიტეტთან ერთად პროგრამის მუდმივი რევიზირების, ხარისხზე ზრუნვის უფრო ქმედითი სისტემა (ზ/ა სტანდარტებზე ორიენტაციით) უნდა შექმნას.

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დტსუ-მ დააფუძვნა კომპეტენტური ეთიკის კომიტეტი, რომელმაც შემდგომში შეიმუშავა და სხვადასხვა სემინარებზე (იხ. დტსუ ვებგვერდი) განიხილა კვლევის ეთიკის კოდექსი, რომელიც დაფუძნებულია კვლევის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებზე (აღნიშნული ORPHEUS-ის შესაბამისი დოკუმენტის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, სტანდარტი 1 - “კვლევით გარემო”).

ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამა აღწერილია სწავლების საბოლოო შედეგებით (მისაღწევი კომპეტენციები, ORPHEUS-ის სტანდარტი 2 – „შედეგები“). კომპეტენციები სასწავლო გეგმის კონტექსტში აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან დოქტორანტები, მათი ხელმძღვანელები.

პროგრამაში ჩარიცხვის კრიტერიუმები აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონებს. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დტსუ სადოქტორო პროგრამაში შევიდა ცვლილება სადოქტორო სწავლების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით „სტუდენტთა მოტივაციის და ორგანიზებულობის გაზრდის მიზნით“. (იხ. დანართი 10.). აღნიშნული (ჩარიცხვის კრიტერიუმები) ORPHEUS-ის მიერ მიღებული სტანდარტის მესამე კრიტერიუმია. ამ საკითხთან მიმართებაში ქ. პრალაში

ჩატარებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დაზუსტებებისა და ცვლილებების საკითხი განიხილებოდა, თუმცა ეს სტანდარტი ჯერჯერობით უცვლელი რჩება (იხ. დანართი 9).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: თეორიული სწავლება; სადისერტაციო კვლევა, რომელშიც აღინიშნება მიმდინარეობის შემდეგი ეტაპები; აკადემიური აქტივობა; სამედიცინო განათლების სფეროში კვლევითი ნაშრომის შესრულება (ელექტივი). პროგრამაში სწავლების ფორმატი ითვალისწინებს: სავალდებულო თეორიულ და არჩევით კურსებს (არჩევითი კურსის მოდულები სტრუქტურირებულია სამეცნიერო კვლევის მიმართულების, მეთოდოლოგიისა და სპეციალობის მიხედვით); სემინარებს; ლაბორატორიულ როტაციას; დამოუკიდებელ კვლევას; დიპლომამდელ სწავლებაში მონაწილეობას (დიპლომამდელ სამედიცინო განათლების სასწავლო კურსში მონაწილეობას და/ან სტუდენტთა სამეცნიერო სასწავლო ჯგუფის ტუტორობას და/ან სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობას და/ან სამედიცინო განათლების სფეროში კვლევითი ნაშრომის შესრულებას) (ზ/ა ORPHEUS-ის მეოთხე სტანდარტია - „პროგრამა“). მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამედროვე ტენდენცია სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამის შესახებ. დტსუ სადოქტორო პროგრამა წარდგენილ იქნა სადოქტორო სწავლების ევროპული ორგანიზაციების კონფერენციებზე ანალიზისა და მოსაზრებების გაცვლის მიზნით. სტანდარტების დოკუმენტში მნიშვნელოვანი ნაწილია „პროგრამა უნდა შეიცავდეს ფორმალიზირებულ კურსებს დაახლოებით 6 თვის განმავლობაში (30 ECTS). ამ მიმართულებით დებატები გრძელდება ECTS სრული მიუღებლობიდან ექსპერტთა იმ არგუმენტებამდე, რომ აღნიშნული საჭიროა მობილობასთან, ხუ-სთან, დროის მენეჯმენტთან კავშირში. ORPHEUS-ის ბოლო სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე გამოითქვა ვარიანტები „არ უმეტეს, ა. შ.“. ყველა შემთხვევაში ასეთი 30 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კურსი სადოქტორო პროგრამაში დევს.

ყველა დოქტორანტს ჰყავს ხელმძღვანელი. უმრავლეს შემთხვევაში ერთზე მეტი. აქ მნიშვნელოვანი იქნება დტს-უმ ჩაატაროს სემინარები, სუპერვაიზორთა (სტანდარტი 5 – „ხელმძღვანელობა“) დისკუსიები გამოცდილების გაზიარების მიზნით (დტს-უმ უნდა იზრუნოს „მენტორის კარიერულ ზრდაზე“).

პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია სადისერტაციო კვლევა (სტანდარტი 6 – „PhD თეზისი“), რომელშიც აღინიშნება მიმდინარეობის შემდეგი ეტაპები: სასწავლო სემესტრების მიხედვით გაწერილი პრაქტიკული სამუშაოს გეგმა; სადისერტაციო თემის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურის გეგმიური ძიება/დამუშავება სემესტრების მიხედვით; სამეცნიერო კონფერენციებზე კვლევის შედეგების ეტაპობრივი პრეზენტაციის გეგმა; პუბლიკაციების მომზადების/გამოქვეყნების საორიენტაციო კალენდარული გეგმა; დისერტაციის გაფორმება და დაცვისთვის მზადება (იხ. ინდივიდუალური მუშაობის გეგმები). პროგრამას აქვს თეზისის მიღების, დაცვის და

შეფასებების წესები და პროცედურები (სტანდარტი 7 – „შეფასება“, სტანდარტი 8 – „სტრუქტურა“).

კვლავ პრობლემურად რჩება თეზისის შეფასების ნაწილი, თუმცა განსხვავებების მიუხედავად ORPHEUS-ის კომიტეტის წევრები ერთიანი არიან აპრობაციის და საჯარო დაცვის აუცილებლობაში (იხ. დანართი 9).

სამოქმედო გეგმა:

- ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო სწავლების ევროპულ ორგანიზაციასა და მის შემადგენელ წევრ ქვეყნებთან და ინსტიტუტებთან მუდმივი თანამშრომლობა.
- სადოქტორო სასწავლო პროგრამების განვითარება; სისტემატური რევიზია/ხარისხზე ზრუნვა.
- სადოქტორო სასწავლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მიმდინარეობაზე მონიტორინგის გაძლიერება.
- PhD სტუდენტის “პორტფოლიოს“ სქემის განხილვა ხელმძღვანელებთან და დოქტორანტ-სტუდენტებთან და მათ იმპლემენტაციაზე მონიტორინგი.

დასკვნა

თითოეული სასწავლო პროგრამა უნდა პასუხობდეს საზოგადოების მოთხოვნებს, ხელს უწყობდეს დასაქმებას, სამოქალაქო თვისებების აღზრდას, აღიარებული იყოს სამეცნიერო საზოგადოების მიერ, ჰქონდეს საკმარისად გამჭირვალე სტრუქტურა, უზრუნველყოფდეს სტუდენტთა მობილობას და სწავლის შედეგების აღიარებას სხვა ქვეყნებში. პროგრამის ხარისხის დამატებითი კრიტერიუმებია სასწავლო მიზნების მიღწევის ხერხების სწორი არჩევა, აგრეთვე სხვადასხვა ელემენტების ურთიერთშეთანხმება და ურთიერთკავშირი. ამ თვალსაზრისით დტსუ-ში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს თუმცა რჩება რიგი პრობლემური არეები, რაზეც მომავალში მუშაობა გვმართებს (იხ. თვითშეფასების ანგარიშის თითოეული ასპექტისთვის “სუსტი მხარეები”) და რაც აისახა მომავლის სამოქმედო გეგმაში:

1. დამსაქმებელთა მოთხოვნები

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებელთა ანალიზი, მათთან ერთად შემუშავებული კითხვარის დაზუსტება/განხილვა.
- ახალი კვლევების (დაზუსტებული კითხვარი, დამსაქმებელთა სახეობები) დაგეგმვა და განხორციელება.
- დამსაქმებელთა დაინტერესებულ ჯგუფებთან დტსუ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განვითარების განხილვა ტემპუსის პროექტის ფარგლებში.
- დტსუ პროგრამების საერთაშორისო ცნობადობის და დიპლომის აღიარების (მეტ ქვეყანაში) მიზნით საერთაშორისო ქსელებში (მაგ: EURAS, AMSE, ORFHEUS, ა. შ.) მონაწილეობა მათ შორის ამ (დასაქმების ბაზარი) მიმართულებით (იხ. დანართი 2).

2. სწავლის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო კურსების სწავლის ეტაპობრივი და საბოლოო შედეგების ირგვლივ ორგანიზაციის გაზრდა.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური შტატისა და სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება (შეხვედრები, განხილვები, ვებ-გვერდზე გარკვეული მასალების განთავსება).

- კლინიკური უნარჩვევების შეფასების მეთოდოლოგიათა ანალიზის ჯგუფის შექმნა.

3. პროგრამის აღწერა (თავისებურებები)

- სამედიცინო განათლების ცენტრის, კურსკულიმის და შეფასების კომიტეტის წევრების და ასევე სასწავლო კურსის ხელმძღვანელების ერთობლივი თანამშრომლობით პროგრამის გავლის შედეგად მისაღწევი საბოლოო კომპეტენციების სრული “პროგრამული თარგმანის“ უზრუნველყოფა.
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის საბაზისო სამედიცინო განათლების ეტაპის განვითარება ტემპუსის მიმდინარე პროექტის ფარგლებში.

4. 5. პროგრამის/კურსკულუმის შინაარსი და პროგრამის ორგანიზაცია

- სამეცნიერო კვლევის სასწავლო კურსის ფარგლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ სტუდენტთა აზრის შესასწავლად სპეციალური კითხვარის შემუშავება, გამოკითხვა და ანალიზი.
- სამედიცინო განათლების ცენტრის მიერ და ტემპუსის პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოთა (რაც მნიშვნელოვნად ზ/ა სუსტი მხარეების დაძლევის საუკეთესო საშუალება იქნება) ეფექტური განხორციელება.

6. სწავლების/სწავლის სტრატეგია, დიდაქტიკური კონცეფცია

- ხუ-ის სამსახურისა და სამედიცინო განათლების დეპარტამენტის მიერ სემინარების ჩატარება დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში პროფესიონალიზმის სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ.
- კლინიკური და პროფესიული უნარჩვევების შეფასების იმპლემენტაციაზე შემდგომი ზრუნვა.
- სტუდენტის ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში კლინიკური და პროფესიული უნარჩვევების ასახვაზე მუშაობის გაგრძელება.
- ტემპუსის პროექტის ფარგლებში სწავლების/სწავლის ახალი სტრატეგიების (ePBL, VP-ზე დაფუძნებით) შემუშავებაზე ზრუნვა.

7. სტუდენტთა შეფასების სისტემა

- დაიგეგმოს და გაგრძელდეს გამოცდების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვა;
- ხუ სამსახურმა გააგრძელოს სამედიცინო დიპლომამდელი განათლების ეტაპის სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ საინფორმაციო სემინარები (ხუ სამსახურში ჩართული და სხვა დაინტერესებული სტუდენტების და დოქტორანტების მონაწილეობით).
- მიეცეს რეკომენდაცია სასწავლო დეპარტამენტს, გააუმჯობესოს საგნის პროფესორებთან არსებული კომუნიკაცია, რეგულარული გახადოს საგამოცდო ტესტების რევიზირების პროცედურა (ჩატარებული მუშაობის შედეგები პერიოდულად მოხსენდეს kurukulumisa da Sefasebis კომიტეტს).
- გაგრძელდეს დტსუ-ში არსებული შეფასების სისტემის შემდგომ ობიექტივიზაციაზე მონიტორინგი.

8. აკადემიური შტატის ხარისხი

- აკადემიური კადრების ხარისხის გაუმჯობესებების ღონისძიებებზე მუშაობის გაგრძელება, მათ შორის დტსუ სამედიცინო განათლების ცენტრის ხელშეწყობით.
- ვაკანსიების საუკეთესო კადრებით დაკომპლექტება;
- სტუდენტთა მიერ პედაგოგის შეფასების „დადებითის“ „სანიმუშო პედაგოგები“ გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

9. დამხმარე შტატის ხარისხი

- უს-ის სამსახურის მიერ სათანადო კითხვარის შემუშავება და სტუდენტთა და აკად. პერსონალის აზრის შესწავლა ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობაზე.

10. სტუდენტთა ხელშეწყობა და კონსულტირება

- თანადგომის არსებული ინსტიტუტების გაძლიერება სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ორიენტაციით.

11. ინფრასტრუქტურა და გარემო

- შესაბამისი ფონდების (კერძო დაფინანსება, შემოწირულობა, გრანტი) მოძიება 21-ე საუკუნისათვის შესაბამისი თანამედროვე საუნივერსიტეტო გარემოს შესაქმნელად დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი განათლების უზრუნველსაყოფად და კვლევისათვის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.

12. სტუდენტთა შეფასება (სტუდენტთა აზრის კვლევა)

- სტუდენტთა გამოკითხვის რეგულარულად ჩატარების გაგრძელება;
- შეფასების შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაზე ზრუნვა.
- ყურადღების მუდმივი ფოკუსირება სტუდენტთა პრობლემებზე, მათი დაძლევის ღონისძიებათა გეგმის შემუშავება/განხორციელებაზე ზრუნვა.
- ახალი სამეცნიერო სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე კითხვარების მოძიება/ჩატარება.

13. კურსკულუმის დიზაინი და შეფასება

- დიპლომამდელი სამედიცინო განათლების პროგრამის დიზაინის შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართვა და/ან როგორც მინიმუმ არსებული კვლევის კორექტული ანალიზი.

14. შტატის განვითარების აქტივობები

- ახლად დაფუძნებული სგც-ის მუდმივი ხელშეწყობა, მათი მიზნების ეფექტური რეალიზაციისთვის.
- სამედიცინო განათლებაში და პედაგოგიური უნარების სრულყოფაში ხარისხიანი ტრენინგ პროგრამების მომზადების ხელშეწყობა.

15. კურსდამთავრებულთა მიღწევები

- კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაზრდის მიზნით შესაბამისი ორგანიზაციების დაფუძვნების ხელშეწყობა.
- კურსდამთავრებულთა ინტელექტუალური რესურსის სასწავლო პროცესში „გამოყენების“ შესაძლებლობათა განვითარება.

16. ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამა

- ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო სწავლების ევროპულ ორგანიზაციასა და მის შემადგენელ წევრ ქვეყნებთან და ინსტიტუტებთან მუდმივი თანამშრომლობა.
- სადოქტორო სასწავლო პროგრამების განვითარება; სისტემატური რევიზია/ხარისხზე ზრუნვა.
- სადოქტორო სასწავლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მიმდინარეობაზე მონიტორინგის გაძლიერება.
- PhD სტუდენტის “პორტფოლიოს“ სქემის განხილვა ხელმძღვანელებთან და დოქტორანტ-სტუდენტებთან და მათ იმპლემენტაციაზე მონიტორინგი.